სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**89**	**100**

ირაკლი ბონდარენკო:

თარიღი: 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულების საფუძველზე დაიწყო კონკურსი საქართველოს საერთო სასამართლოებში 38 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით.

კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ **დემეტრე ჯინჯოლიას** შეფასება. შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტებით.

კანდიდატს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი), სპეციალობით მუშაობის 9 წლიანი გამოცდილება.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კანდიდატი შევაფასე სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის შეფასებისთვის ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლებით, საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი პიროვნული დ პროფესიული თვისებების გათვალისწინებით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას მხედველობაში მიიღება 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება; პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა; მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

1.1.პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის როგორც მოქალაქის – კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის პატიოსნება, შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად,

ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები გამოარჩევენ კანდიდატ დემეტრე ჯინჯოლიას შრომისმოყვარეობას, კომპეტენტურობას, პრინციპულობას, პატიოსნებას, გულწრფელობას, კორექტულობას, პუნქტუალურობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება, უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, დემეტრე ჯინჯოლიას მიმართ ფიქსირდება სამართალდარღვევის 4 ფაქტი. დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართ შედგენილია სამართალდარღვევის ერთი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ჯარიმა გადახდილია დროულად.

1. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუცვალობა და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით დემეტრე ჯინჯოლია არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნება. არის პრინციპული, აქვს დაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ არის მედეგი.

კანდიდატი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

1.3.პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

მოძიებული ინფორმაციის იანახმად, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება.

კანდიდატის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იძებნება. სასამართლო დავაში მხარედ მონაწილეობა არ ფიქსირდება.

რესპოდენტების შეფასებით, კანდიდატი არის თავდაჭერილი, კორექტული კოლეგებთან და სხვებთან ურთიერთობაში. გამოირჩევა საკუთარი ემოციების მართვის უნარით, იცავს სამოსამართლო ეთიკას, მისი ქცევა ყოველთვის მოსამართლის მაღალი წოდების შესაფერისია.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი ემოციურად საკმაოდ სტაბილურია, შეუძლია ნებისყოფის მოკრება და თავდაჭერა. მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

1.4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი, მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად, რომელიც პროფესიული საქმიანობისადმი გულმოდგინე დამოკიდებულების გათვალისწინებით სარგებლობს მაღალი პიროვნული და საქმიანი რეპუტაციით იურისტთა წრეში და საზოგადოებაში, იმსახურებს დიდ პატივისცემას. გამოირჩევა კარგი, კეთილი ურთიერთობით, ღირსებით, თავაზიანობით. დემეტრე ჯინჯოლიას შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული.

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე დადებითად. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ დემეტრე ჯინჯოლია **სრულად აკმაყოფილებს** კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კრიტერიუმით საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე 16 პუნქტით დადგენილი შემდეგი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე, აგრეთვე, კანდიდატის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი დემეტრე ჯინჯოლია კარგად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში.

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ დემეტრე ჯინჯოლია სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, იგი სიღრმისეულად იცნობს ასევე საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

აღსანიშნავია, რომ დემეტრე ჯინჯოლიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა მიღებული ქულა - 83/15). ვინაიდან კანდიდატი მოსამართლეობის გამოცდილების არმქონეა, მხედველობაში მიიღება იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასება, რომელიც დადებითია.

სკოლის შეფასებით კანდიდატს გააჩნია ძალიან კარგი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ფლობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, მათ შორის კარგად ფლობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ დემეტრე ჯინჯოლიას უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **25 ქულიდან 23 ქულა.**

2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

დემეტრე ჯინჯოლიამ, გამოავლინა კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. გააჩნია სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გაგების უნარი. არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. კარგად ფლობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, საკონსტიტუციო, საკასაციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. არის მიზანმიმართული, მონდომებული, კეთილსინდისიერი და ყურადღებიანი. სადავო საკითხებზე მსჯელობისას არგუმენტირებულად განმარტავს სამართლის ნორმას, ახდენს მის მისადაგებას დადგენილ ფაქტებისადმი და შესაბამისად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების განჩინების პროექტები წერილობით თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი, როგორც ზეპირად ასევე წერილობით, აქვს უნარი სათანადოდ განავითაროს სამართლებრივი მსჯელობა და დაასაბუთოს გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ, დემეტრე ჯინჯოლია უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **25 ქულიდან 23 ქულა.**

2.3. წერის უნარის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.
კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - დემეტრე ჯინჯოლიას მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებდა. მას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით. იყენებს დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, წერს ლაკონიურად და მხარისათვის გასაგებ ენაზე. მან გამოავლინა წერის მაღალი კულტურა როგორც აკადემიური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. დემეტრე ჯინჯოლიას შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს.
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს მითითება განვითარებაზე, არ დაუფიქსირებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, დემეტრე ჯინჯოლიას უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **20 ქულიდან 18 ქულა.**

2.4.პროფესიული თვისებების ქცევის, მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

რეკომენდატორები დემეტრე ჯინჯოლიას ახასიათებენ პუნქტუალურ, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიან და მიზანდასახულ პიროვნებად. კანდიდატი აქვს დამოუკიდებელი აზროვნების, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გუნდური მუშაობის და გუნდის მართვის, სხდომის ორგანიზებისა და მართვის უნარები. კანდიდატს აგრეთვე შესწევს უნარი ეფექტურად დაგეგმოს საშუშაო პროცესი და სწორად განსაზღვროს პრიორიტეტები, სწორად გაანაწილოს და ოპტიმალურად გამოიყენოს დროს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა კომპეტენტურობით, კეთილსინდისიერებით, განწონასწორებულობით, შრომისმოყვარეობით, კორექტულობით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით და მოწესრიგებულობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით დემეტრე ჯინჯოლია უნდა შეფასდეს განსაზღვრული მაქსიმალური **15 ქულიდან 13 ქულით.**

2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

დემეტრე ჯინჯოლიას მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ ღონისძიებაში:

აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ევროპის საბჭო და საქართველოს გენერალური პროკურატურა - ტრენინგი
საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის თემაზე - საერთაშორისო თანამშრომლობა, ტრენერი, ევროპის საბჭო და საქართველოს გენერალური პროკურატურა - ტრენინგი
ანტი-დისკრიმინაცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა - ტრენინგი
წინასასამართლო გამოძიება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
სიძულვილის ენა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა);
ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, ევროპის საბჭო - ტრენერთა ტრეინინგი

საერთაშორისო კონფერენციები

სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე მომუშავე ევროპის საბჭოს კომიტეტის (European Committee on Crime Problems - CDPC) რიგით 75-ე კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა);
ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (Consultative Council of European Prosecutors - CCPE) 2020 წლის კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა);
პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (International Association of Prosecutors) რიგით 27-ე საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი (ქ. თბილისი, საქართველო);
კორუფციით მიღებული შემოსავლის ამოღების თაობაზე ექსპერტთა საერთაშორისო ფორუმი ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში, მონაწილე და მომხსენებელი, ინიციატორი - გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC), (ქ. ტაშკენტი, უზბეკეთის რესპუბლიკა).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, დემეტრე ჯინჯოლიას უნდა მიენიჭოს მაქსიმალური **10 ქულიდან 8 ქულა.**

2.6.პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი დემეტრე ჯინჯოლია არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

დემეტრე ჯინჯოლიას მიღებული აქვს სპეციალური წოდებები:

- უმცროსი იურისტი - 29.02.2016 (ბრძ.№120-მ);
- მესამე კლასის იურისტი - 01.03.2017 წ. (04.04.2017 წლის ბრძანება №34-მ §3);
- მეორე კლასის იურისტი - 01.03.2019 წ. (02.04.2019 წლის №47-გ §2);
- პირველი კლასის იურისტი - ვადამდე - 27.05.2021 წ. (ბრძანება №18 §33);
- იუსტიციის უმცროსი მრჩეველი - ვადამდე - 27.12.2022 წ. (ბრძანება №22 §5).

კანდიდატს ასევე მიღებული აქვს წახალისებები:

- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2023 წლის 19 მაისის №5 §16 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 27 დეკემბრის №22 §5 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა იუსტიციის უმცროსი მრჩევლის სახელმწიფო სპეციალური წოდება;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 27 დეკემბრის №21 §157 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 28 დეკემბრის №34 §2 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 27 მაისის №18 §33 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა პირველი კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 24 დეკემბრის №32 §126 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს მთავარი პროკურორის 2019 წლის 30 მაისის №7 §6 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა და მიეცა ფულადი ჯილდო.

ყოველივე ‘ხემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლით შეფასებისას, დემეტრე ჯინჯოლია უნდა შეფასდეს მაქსიმალური **5 ქულიდან 4 ქულით.**

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

დემეტრე ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს ვაფასებ **89 ქულით, რაც მაქსიმალურ ქულათა ჯამის (100 ქულა) 89%-ს შეადგენს.**

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

09.12.2024 წელი